მაისის 1-სა. წელიწადი პირველი. 1862 წელსა.

77

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გუთნის-დედა,

## მამულის-მოვლისათჳს.

ჴელი მოეწერება ტფილისში. ი. კერესელიძის სტამბაში. კუკიას, საკუთარს სახლში.

გამოიცემა ორკჳრაში ერთხელ. ფასი ერთის წლის გამოცემისა ვინც «ცისკარზედ» ჴელს აწერს ერთი მანეთი, რომელიც არ აწერს ორი მანეთ

«ცისკრის» დამატება.

ნ. 9

განცხადება.

რადგანაც კავკასიის გაზეთში ზოგი ერთთ მამულის-პატრონეთაგან იყო გამოცხადებული რომ ადგილ-მამულის მართჳს, მართებლობამ გამოიწერეს აბრეშუმის ჭიის პარკებისა დასადუღავი იარაღი, ამ მიზეზით ადგილ-მამულის მართჳს მართებლობას ჰქონდა მიწერ-მოწერა სხუა და სხუა აბრეშუმის ჭიის მომშენებლებთანა, რომელთაც აცნობეს შენიშვნა იმ იარაღებზედ, რომელნიც იხმარებიან მიჩნეულთ აბრეშუმის დახვევის ფაბრიკებში. ამ გათქმულთ ფაბრიკანტების ცნობისაგან სჩანს, რომ ყოველთ აბრეშუმის ჭიის პარკების დასადუღავთ ღონისძიებაებათაგან მრთელს იევროპაში უფრო ხმარობენ წყლის ორთქლით დადუღვასა. სხუა გუარნი ღონისძიებანი არ იხმარებიან იმ მიზეზით, რომ მოითხოვენ ბევრს საწვავს, დროსა და ამას გარდაც ცოდნა და დახელოვნებაც ეჭირებათ. თუმც ორთქლით დასადუღავი იარაღები ბევრ გუარნი არიან, რაც არის დამოკიდებული თჳითონ ფაბრიკის სივრცეზედ და საჭიროებაზედ, მაგრამ ყოველს ამ გუარს ფაბრიკებში ეს იარაღები მალიან სასარგებლოდ მუშაობენ და აბრეშუმის თჳსებასაც არ ავნებენ. რათა აბრეშუმის ჭიის მოშენება წარმატებაში მოვიდეს, ადგილი მამულის მართჳს მართებლობამ ამოარჩია ეს ქვემო-

ხსენებული აბრეშუმის ჭიის პარკების დასადუღავი იარაღი, რომელსაც ჩუჱნებური სოფლური დურგალი ან ხურო ადვილათ გააკეთებს და რომელსაც ცოტა ხარჯიც უნდა. ეს იარაღი ნამეტნავათ იმათ გამოადგებათ, რომელთაც ისე ბევრს აბრეშუმის ჭიას არ აჩენენ, მაგრამ ვისაც აქჳს, ან სურს აბრეშუმის ფაბრიკა გამართვას, ის ევროპიითგან გამოიწერს საჭირო ზომის იარაღებსა და ამ იარაღების მომართულობასაცა.

---

## წყალის ორთქლით დადუღვა აბრეშუმის ჭიის პარკებისა.

ეს მუშაობა დაიწყეთ ქსრეთ; მიწაში იმ გჳარი ორმო ამოთხარეთ, როგორათაც არყის გამოსახდელათ სთხრიან ხოლმე. ამ ორმოზედ შემოსდგით ზარფუშის მსგავსი ჭურჭელი ან თჳთონ ჩუჱნებური არყის გამოსახდელი ზარფუში, რომელშიაც წყალი ჩაასხით. ამ ჭურჭლის პირი უნდა შედიოდეს განზეგ მომზადებულს ხის შკაფში, რომელშიაც უნდა ეწყონ აბრეშუმის ჭიის პარკები. ამ ყუთების მირები არიან შედგენილნი ვიწრო ფიცრებისაგან, რომელნიც ოჳე ახლოს არიან ერთმანეთთან დაწყობილნი, რომ ჭიის პარკები მირს ვერ ჩაცვივიან, ყუთების სიგრძე ერთ ადლ-ნახევარი დიჭირეთ; სიმაღლეკი ისეთი უნდა იყოს, რომ შიგ სამ რიგათ ჭიის პარკები ჩაიწყობოდეს. თჳთონ შკაფის სიმაღლე დამოკიდებული იქნება ყუთების რიცხვზედ. როდესაც წყალი საკმაოდ ადუღდება და შკაფში ორთქლის შეშვებას დააპირებთ, ეცადეთ შკაფის კარები მაგრათ მოხუროთ, რომ ორთქლის. მალამ კარგათ იმუშაოს. ჭიის პარკები ორთქლში **20** მინუტამდის უნდა იყვნენ. როდესაც ჭიის პარკებს შკაფიდგან გამოიღებთ, გასაშრობათ მზეზედ **15** მინუტამდინ, გაფინეთ და შემდგომ შეიტანეთ მშრალს ოთახში, სადაც კიდევ გაფინეთ, რომ სრულებით გაშრნენ. მინამ კარგათ არ გამშრალან, რაც შეიძლოთ ჭიის პარკები თხლათ გაშალეთ და შემდგომ შეიძლება ჯგუფათაც შეაგროვოთ.

ნ. პაული.

მარტის **13** დღესა.

---

## მოქმედება მარილისა საქონელზე.

როდესაც საქონელს მარილს აძლევდეთ ხოლმე, ეცადეთ რომ მარილი წმინდა იყოს, ამიტომ რომ ყოველი საჭმელი უფრო მაშინ არის სასარგებლო, როდესაც წმინდათ მომზადებულია. კარგი მარილი უნდა იყოს

თეთრი, ანკარა, მშრალი და უნდა ისხნებოდეს წმინდათ სამ ნაწილს წყალში; თუ ამ მარილ-წყალში ნახოთ ნამირალი, ცხადია რომ ამ მარილში-იყო ნარევი ქვიშა, გაჯი და სხჳა მიწები, რომლის დახედჳთ შეგვიძლიან შევიტყოთ, განგებ, თუ ბუნებითი არიან შერეულნი მარილში სხჳა და სხჳა მიწები. ეს სხჳა და სხჳა მიწებ-ნარევი მარილი არის მალიან მავნებელი საქონლისა, რომლისაგამო ეცადეთ საქონელს წმინდა მარილი აჭამოთ. საქონელი, რომელიც იკვებება სხჳა და სხჳა მიწა ნარევ მარილითა, ჯერეთ სუსტდება და შემდგომ კჳდება კიდეცა, და პატრონს არცკი ჰგონია, რომ ეს იყო მიზეზი იმის საქონლის სიკჳდილისა, ამ მავნებელის თჳსების გარდა უნდა ვსთქჳათ, რომ ამ გჳარი მარილი უფრო ბევრი ისარჯება საქონელზე, ვიდრე წმინდა მარილი, საქონელს ნურას დროს ნუ მისცემთ მომატებულათ მარილსა, რადგანაც მარილის სიჭარბე უხურებს შიგნეულს აგებულებასა და ასნეულებს საქონელსა, რასაც ვხედავთ ჩჳენზედ, როდესაც ვსჭამთ ხოლმე მომატებულ მარილიან საჭმელსა. ბევრჯერ ამ გჳარის მლაშე საჭმლის ჭამითა მოგვდის ანთება და ჩქარი სიკჳდილიცა. მარილი უნდა ეძლეოდეს საქონელს მისის აგებულებისა და ჯინშისა გჳარათ; მაგალითათ: რაც ერთს მიღებაზე ცხენს არ ავნებს, ის უეჭველათ მავნებელია ცხენისათჳს ან სხჳა რამე მცირე ცხოველისა. ერთმა დახელოვნებულმა მამულის მართჳს საქმეში, გერლახა (Герлахъ) სცადა ერთს ღორზედ, რომელსაც აძლევდა ყოველს დღეს თორმეტს მისხალს მარილსა; ეს ღორი, მომატებულის მარილისაგან მესამეს დღეს, იპოვეს მკჳდარი საღორეში. საქონელს მარილი ეძლევა როგორც წამალი, რომელიც აძლევს შემწეობას პირუტყვის აგებულებას, რათა ადვილათ მოინელოს მიღებული საკვეებელი, და არა როგორც რამე საჭმელი. თუმცა მართალია, რომ კაცს შეუძლიან შეაჩვიოს თავისი აგებულება ცოტ-ცოტათ სხჳა და სხჳა შხამების მიღებსაა, მაგალითათ დარიშხანისა, მაგრამ მაინც შხამი არის მავნებელი და არა მარგებელი. მალმალ უზომოთ მარილის ჭმევა საქონლისა, ჰმალავს პირუტყვის აგებულებაში სხჳა და სხჳა სნეულებასა და თჳთ სიკჳდილსაცა, მაშა სადამე. უზომო მარილის ჭმევა არის წყნარი მოწამვლა საქონლისა.

თუ გსურსთ, რომ მარილს ჰქონდეს თავისი სასარგებლო მალა პირუტყვის აგებულებაზედ, ეცადეთ აძლიოთ წმინდა, ცოტ-ცოტა და იშვიათად. ეს დაუდევნელობა მარილის ჭმევაში საქონლისა არის მიზეზი, ვინც იცის, რამდენი არის ზიანი პირუტჳს სიკუდილისა, რომელიც აძლევს დიდ ზარალს მამულის პატრონსთა. აგრეთვე არაოდეს არ აძლიოთ საქონელს მარილ-წყალი, რომელ-

შიაც იყო დამარილებული ხორცა, თევზი ანუ რამე მცენარე, (ნამეტნავათ თუ დიდისხნისაა), ამიტომ რომ მარილ-წყალში მნელათ გაიგებთ მარილის ზომასა, და უეჭველათ საქონელს გადაუჭარბებთ. იგივე სწავლული გერლახი აძლევდა სამს ღორს ოთხი დღე მარილ-წყალსა, რომლისაგანაც ღორები გახდნენ ავათ; ამის მიზეზიც იყო მოჭარბებული წყალში გახსნილი მარილი·

ამას გარდა უნდა მოვახსენოთ, რომ ხორცი საქონლისა, რომელიც მამკჳდარა მომატებულის მარილის ჭმევისაგან არის მავნებელი კაცისა, როგორათაც ყოველი მველი და წამხდარი საჭმელი, რომელთაგანაც წარმოსდგებიან მრავალნი სხუა და სხუა გვარნი სნეულებანი.

ნ. პაული.

**1862** წელსა. **2** აპრილსა.

---

პირუტყვთ მოშენება

მაკე ძროხებს ხშირათ შეემთხვევათ საშჳლოსნოს გადმობრუნება, საკუთრივ იმათ, რომელთაც აქუსთ თემოს თავში განიერი მენჯები და რომელთაც უხჳად ჭკვებენ მომატებით ნოყიერის და მხურვალის საჭლმითა, ესევე შეემთხვევათ იმ ძროხებსაც, რომელნიც დგანან მრიელ უკან დაქანებულსა ზღვებზედ, ასე, რომ ცხოველი შემჭიდრებულ იქმნება იდგეს უკანა ფეხებით წინა ფეხებზედ დაბლად; მოხდება იმისგანცა, თუ ძროხებზედ მიუშვებენ მომატებით დიდსა ხარებსა. ცხადია, რომ მოშორება იმ გარემოებისა, რომელთაგან შეემთხჳევათ სნეულება, არს პირჳელი ღონის მიება სნეულებისაგან წინდაწინვე გადარჩენისა, მაგრამ თუ შეემთხჳოს, მაშინ შეიძლება შეწევნა შემდგომითა სახითა: უნდა ჩაუბრუნონ საშჳლოსნო თჳსსა ადგილსა და თუ აქჳს მრიელ მომატებულად გადმობრუნებული, უნდა აუკრან არტაშითა ანუ მჩვრითა, რასაკვრელია ბუნებითისა საქმისათჳს უნდა იყოს გაშვებული ადგილი. ვითარცა გამოცდილი ღონის მიება უნდა აძლიონ სასმელი ალაოსგან შემდგარი (ალაო, დამბალი და თბილსა ადგილსა გაშრობით აღივებული პურის მარცვალი) ანუ მოდუღებული გვირილა და მირი მცენარისა, წოდებულისა რუსულის ენით «ვალერიანა;» მაგრამ ყოველსა ამდროსა უნდა ეძლეოდესთ ძროხებს ჩჳეულებრივსა საჭმელზედ ნაკლები. გარედამ შეიძლება დაედოს მოხარშული მუხის ფესვი ანუ უფრო უმჯობესი იქმნება მოხარშულისა მცენარისა თხისფსელას მარცვალი (ეს მცენარე რუსულისა ენითა იწოდება ჩერემუხად).

**285**-ის დღის გასვლის დროს მოახლოვდება დრო ხბოს ყოლისა; ნიშნები, რომლითაც შეიძლება წინათ შეტყობა ამ დროჲსა, არიან შემდგომნი: ძროხა ხან

დაწვება, ხან ადგება, მუცელი ძრიელ ჩამოეშვება, ხერხემლები ჩამოუცვივდება, ცური გაევსება და დაიწყება წინ მავალი მშობიარობის მუკლის ტკივილი, რომელიც მდგომარეობს იწრებასა და გაფართოებასა შინა საშჳლოსნოსასა და იმისა მახლობელთა ნაწილთა. შემდგომად ამ ნიშნებისა გაუჩნდება ცურში რძე, დაუწყებს ლორწოს დენასა საშოდამ, გაებერება და გაფართოვდება გარეშე განავლის ნაწილები. ეს ნიშნები გამოაჩნდება რამოდენისამე საათით უწინ ხბოს ყოლამდის, ზოგჯერ ორისა ანუ თჳთ სამისა დღისა უწინარესცა. ამ დროს ძროხა უნდა იდგეს იმისთანა ადგილსა, სადაც სხუათა არ შეაწუხონ, ხოლო მომატებული უნდა ეგოს ქუეშსაფენი.

მოგებისა დროს უნდა ყოველივე მიენდოს ბუნებასა, მით უმეტეს, რომელ მოგება მომატებულის ნაწილით თჳთ თავით თჳსით მოხდება რიგზედ და იმ დროს იშჳათად ესაჭიროება სხუათა შემწეობა; ამასთან გამოუცდელი კაცი მსგავსსა შემთხუევაში მომატებით ავნებს, ვირემც აჩუენებს სარგებლობასა. კეთილშემთხუევითსა მოგებაში საშოდამ გამოჩნდება პირუელად ნაყოფის ერთი თხელთა კანთაგანი, სახედ მჭვირვალისა ბუშტისა, რისამე ამღურეულის სითხელითა; ბუშტი ესე მსწრაფლად გადიდდება, გაიჭიმება; მალე შეინიშნებიან იმაში გამომავალნი საშოდამ ჩლიქნი წანაფეხებისანი, შემდგომ თჳთ ფეხნი და მდებარე იმათზედ თავი. როგორც გამოჩნდება ხბოს თავი, ბუშტი გაიხევა, პირუელად იმისთჳს, რომ იმაში მყოფის სითხელით მოირწყოს გზა, რომლითაც გამოდის ხბო და იმითი გაადჳლდეს ხბოს გამოსვლა და მეორედ იმისთჳს, რომ მიშუებულ იქმნეს ჩვილს ცხოველთან ჰაერი, რადგან იმ წამიდგან ხბო იწყებს განსაკუთრებით ცხოვრებასა, სხუაზედ დაუმოკიდებელისა სიცოცხლითა და საჭიროებს ჰაერსა. გამოჩენისა დროს თავისა, ჩუეულებრივ, ბუშტი სკდება თჳთ თავით თჳსით, მაგრამ არ იქნება ურიგო, თუ გაგლეჯენ იმას ჴელითა თჳთ მასვე წუთსა. თუ შობა არ იქნება მშჳდობიანი, ძრიელ ძნელი, რომელიც მოხდება ხბოს არა თანასწორ ზომიერებისაგან თემოს თავების მენჯების სიფართოსთან, ანუ ხბოს ურიგოს დებისაგან დედის მუცელში, ოდესაც მაგალითებრ პირუელად გამოჩნდება უკანა კერძო ხბოსი, ანუ ზურგი, ანუ ბარძაყნი, ანუ ერთი წინაფეხი თავითურთ, ანუ სულ ოთხი ფეხი ერთად; მსგავსთ შემთხუევაებში ხშირად საჭიროდ შეიქმნება გარეშე შემწეობა: ყველაზედ უკეთესი იქმნება ამისთანა გარემოებაებში მოწოდება გამოცდილთა პირუტყუთა ექიმთა. ეს ექიმნი დაისველებენ ჴელს თბილსა წყალში, წაისმენ ჴელზედ ზეთსა, შემდგომად ჴელით მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოიხმარებიან გამოსვლასა ხბოსასა და თუ ეს არ შეეწევა, მაშინ დასჭრიან ხბოსა საკუთრისა იარაღით და გამოიღებენ ნაწილ ნაწილად.

უნდა ეგრეთვე მიექცეს საკუთარი ყურადღება ჭიპის ნაწლევის მოწყუეტაზედ, თუ თჳთ არ მოსწყდება. მოგლეჯისა დროს საჭირო არს გაფრთხილება, ხშირად გაუფრთხილებლობისაგან ახლად დაბადებულნი მიიღებენ საშიშარსა სნეულებასა—ჭიპის ანთებასა.

ზოგჯერ გამოჩნდება ბუშტი, მაგრამ არ გამოდის თჳთ ძლიელის მუცლის ტკივილის დროს; მაშინ უშუელიან გაკეთებითა რძის ოჳნისათა, ასმევენ წყალსა ღვიითა (რომელსაც რუსულად ჰქჳან კასაცკი, მოქეველნიკი) ერთიდამ ორს მისხლამდის, ანუ ჩაუყრიან საჭმელში დამარილებულს თევზსა და ქაშაურ თევზსა თევზითა (რომელსაც ჰქჳან რუსულად სელდი). ანუ ერთს მუჭს ღვიის მარცუალს დაასხმენ მარტივსა მაგარსა ოტკასა, შემდგომ დადგმენ ნახევარს საათს თბილსა ადგილში და შეაჭმევენ ძროხასა.

შემდგომად ხბოს ყოვლის ორის საათიდამ სამამდის, უნდა გამოვიდეს ხბოს ადგილიცა ანუ ბუდე, აფსკებითა, მაგრამ ხშირად მოხდება, რომ ადგილი არ გამოდის ჟეროვანსა დროსა, რომლისაგან ძროხა შეიქმნების ავათ და რაოდენობა რძისა დიდად შემოუკლდების. იმ დროს დიდად საშიშარი არს მოხმარება დიდად მოქმედთა ზომიერებათა, მაგალითებრ მოგლეჯა ძალადობით; ამ შემთხუევაში ხმარობენ შემდგომსა გამოცდილსა ღონიძიებასა: ასმევენ ნაცარტუტის მარილსა წყლით, ანუ აჭმევენ მოხარშულსა ხახვის თავსა, ანუ მოხარშულსა ფურცელსა მცენარისასა, რომელსაცა ჰქჳან რუსულად პლიუშ ქართულად ბრწმალი, ბურწუმალი, ღიჭი, ან გაუკეთებენ სასმელსა ერთსა კუარტასა (სამის თუნგის მეოთხედსა) რუსულის შავის ფქვილისა, ერთის ჩაის კოვზის კვიპაროზის ზეთისა და სამის სტოლის კოვზის მაგარის ოტკისაგან. შემდგომად ხბოს ყოლისა ძროხა ხშირად გახდება ავათ ციებით, მაშინ გამოუშუებენ სისხლსა, ანუ მისცემენ სასმელსა სამის ოთხამდის მისხალის გვარჯილითა და ნახევარ გირვანქის გლაუბერის მარილითა. ყოველს შემთხუევაში შემდგომად ხბოს ყოვლის, ძროხა უნდა იყოს შენახული თბილსა ადგილში და ეხუროს ჩული ანუ სხუა რამ დასახურავი.

შემდგომად ხბოს ყოლისა, ჩუეულებრივ, ძროხა დაუწყებს ხბოს ლოკასა, თუ ამას ძროხა ხალისიანათ არა შურება, მაშინ კარგი იქნება, რომ ხბოს მოუყარონ მარილი.

შემდგომად ხბოს ყოვლისა უნდა ეძლეოდეს ძროხას კარგი, რბილი, მოტკბო

თივა და სასმელი თბილის წყლისა ფქვილით ანუ ზეთის გამონაწურით (ვიჟიმკი). ხოლო ნედლი საჭმელი, რომელიც მუცელს უბერავს, ძნელად მოსანელებელი ბევრი ბალახის ძირი, ცივი სასმელი, წყალი ცივის წყაროებისა და ჭებისა, ხბოს ყოლის პირუტყვს დღეებში არ უნდა მიეცეს; ხმარება იმათი მოგვრის საშიშართა სნეულებათა და კიდეც მოჰკლავს. ისრეთის სახით თუ აღსრულდება ყველა წესები, რასაც აგონებს კეთილგონიერება და წინადაუდებს სწავლა მაკე ძროხათ მოვლისა, მაშინ შეიძლება ყოლა კარგისა ნაშენისა. მით უმეტესად შეიძლების აღსრულება ამა წესებისა, რომ ამაში არა არისრა მოგონებული, შეერთებული დიდსა ხარჯთან ანუ საკუთარს შრომასთან, ხოლო მოითხოვების მცირედი ყურადღება და სიყუარული საქმისა, სარგებლობა კი მომატებით ბევრი არს.

იოსებ მამაცაშვილი.

---

აბრეშუმის ჭიის ისტორია.

აბრეშუმის ჭია ძუელთაგანვე არის დამორჩილებული კაცისაგან და სცხოვრებს ჴელოვნებით გაჩენილს მდგომარეობაში, არის უძვირფასესი ქონება სამხრეთის ქუეყნებისა მამულებში. ისტორიას არ შეუნახამს ჩუენთჳს ცნობა, ეს სასარგებლო მწერი გარეულს მდგომარეობიდგან როდის არის დაშინაურებული, როდის დაუმორჩილდა კაცის მოვლასა და ზრუნვასა. ჩინეთის მეისტორიები ამბობენ, რომ **2700** წელიწადს წინ, აბრეშუმის ჭიის გაზდა ჩინეთში იცოდნენო და იმისი გამოსავლის მოხმარება ესმოდათო. ჩინეთის წერილებში არის, რომ იმათ მეფეს სურდა ჭიის გაჩენა და უნდოდა კანონიერს მეუღლესაც მიეღო ამ ნაწილში შრომა ქუეყნის გამშუენებისათჳს, ხალხის ბედნიერებისა და სიმდიდრისათჳს, და ამისთჳს ჩააბარა მას გამოსაცდელათ: შეიძლებოდა აბრეშუმის პარკებისაგან მაფის გამოხვევა, თუ არა, დედოფალმა დაუწყო ჭიას ზრდა, თავის ჴელით ჭიისა საკუთარ აშენებულ სახლში, ამ გამოცდილებით დედოფალი დაჴელოვნდა და მაფის გამოხვევის ღონისძიებაც იპოვნა, ასე იყო დასაწყისი, აბრეშუმის ჭიის დამორჩილებისა ჩინეთში.—სხუანი კიდეც გვაჯერებენ, რომ ინდოეთის ქუეყანაში ჭიის გაზდა გამშუენიერებაში შემოვიდაო როდესაც ჩინეთში დაიწყეს იმისი გაზდა და ამას ამტკიცებენ სპარსელების წერილებით, რომელიც გვაცნობებს, რომ საერთოთ ინდოეთის მთავარსა გაუგზავნია საჩუქრათ სპარსეთის ხანისთჳს ორიოდე მისხალი ჭიის თესლი თჳთქმის **5000** წელიწად წინ ქრისტეს დაბადებისა. დამტკიცებით არავინ იტყჳს, რომელს ქუეყანაში

დაიწყეს პირჳელათ ჭიის გაზდა, მაგრამ არავისა აქუს ეჭჳ, რომ პირჳელად არის შემოღებული ამოსავლეთში, პირჳელათ აქ, მიაქციეს ყურადღება აბრეშუმისა ჭიის თჳსებასა და მისცეს მამულის მოქმედებაში გამოჩენილი ადგილი. აღმოსავლეთიდგან განვრცელდა აბრეშუმის ჭიის გაზდა სხჳა ქჳეყნებში.

ევროპაში აბრეშუმის ჭია შემოვიდა პირჳელათ იუსტინიან კელმწიფის დროსა, ამბობენ მისიონერები, რომელნიც გაგზავნილ-იყჳნენ მეფისაგან ჩინეთის მოსავლელათ, ამათ გადმოიტანეს აქედგან დაბრუნებაზედ. ჭიის თესლის გადატანა სხჳა მხარეზედ აღკრძალულიყო და სიკჳდილს მიეცემოდა დამნაშავე, ამისათჳს ჯოხში ჰყრიდენ შუაგულს და ისე გადაჰქონდათ სხჳა ქჳეყნებში.

საქართჳელოში აბრეშუმისა ჭია მივიღეთ სპარეთიდან. მართალია, ამას ვერ დავამტკიცებთ საბუთებით, მაგრამ ყველამ იცის, რომ ეს სახელმწიფო იყო ჩჳენი ოსტატი და დამრიგებელი მამულის მოვლის საქმეში. ამას გარდა ჭიის გაზდისა ხელოვნება სრულათ მიემსგავსება სპარსეთისას.

---

პირუტყვეთ ჰაქიმობა.

**1846** წელსა, მარტის თვეში, მუსინ პუშკინის მამულში, სადაცა ეყენა ცხენის ჯოგები, შეუდგა ცხენებს სნეულება, ასე რომ მოაყოლა რამდენიმე იმათგანსა სისხლზე ყვანა და რამდენიმე დაიხოცნენ. მაშინ სენახოვმა, რომელიცა იყო მამლელი ამ ცხენებისა, იხმარა შემდგომი ღონისძიება მორჩენისათჳს; მოიღო გამხმარი პიტნა, დანაყა წმინდათ. აიღო ერთი მუჭა და ჩაყარა ჩანახში, რომელშიაცა იყო შვრივა, აურივა ერთად და დაუწყო მიცემა ცხენსა დღეში ორჯერ, დილით უზმოთ და საღამოზე. სამის დღის უკან ნახა რომ სრულებით სისხლზე ყვანა აღარა ჰქონდა, ასე გახდა და ასე ღონე მიეცა, რომ თითქო ახალი დაბადებული არისო. ეს რომ ნახა სეხანოვმა, მაშინ სხჳა ცხენებსაც ამ რიგათ წამლობა დაუწყო და ესრეთ მოარჩინა მრთელი ჯოგი სიკჳდილისაგან.

Тфлисъ. Печатать позволяется. 5 Мая 1862 года. Цен. Кайтмазовъ. რედ. კერესელიძე